საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ არჩილ თალაკვაძეს

საკანონმდებლო წინადადება

ბატონო არჩილ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის თანახმად, საკანონმდებლო წინადადების სახით განსახილველად წარმოგიდგენთ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტებს.

დანართი:

ა) ორგანული კანონებისა და რეგლამენტის პროექტები;

ბ) განმარტებითი ბარათი.

პატივისცემით,

ეკატერინე ციმაკურიძე

თავმჯდომარე

<u>პროექტი</u>

საქართველოს ორგანული კანონი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41, 08.12.2009, მუხ. 300) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და 48-ე მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პარლამენტი ან საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობიდან განთავისუფლების უფლებამოსილება ვრცელდება მხოლოდ მის მიერ წარდგენილ წევრებზე. საქართველოს პარლამენტის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობიდან განთავისუფლების უფლებამოსილება ვრცელდება მხოლოდ არამოსამართლე წევრებზე. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“–„ზ“ ქვეპუნქტებში მითითებული რომელიმე გარემოების არსებობისას საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია ან საქართველოს პრეზიდენტი ასეთი გარემოების არსებობის შესახებ ინფორმაციას იღებს ცნობად გადაწყვეტილების მიღების გარეშე. ამ მუხლის პირველი პუნქტის „თ“–„ლ“ ქვეპუნქტებში მითითებული რომელიმე გარემოების არსებობისას საქართველოს პარლამენტი ან საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია კენჭს უყრის გადაწყვეტილებას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. საქართველოს პარლამეტის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე ამ მუხლის პირველი პუნქტის „თ“–„ლ“ ქვეპუნქტებში მითითებული რომელიმე გარემოების არსებობა უნდა დადასტურებული იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნით.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი

<u>პროექტი</u>

საქართველოს ორგანული კანონი

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში (პარლამენტის უწყებანი, №001, 27.02.1996, გვ. 8) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$თ^1$“ ქვეპუნქტი:

„$თ^1$) „საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლის არსებობის საკითხი.“.

2. 41-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, გენერალური პროკურორის, გენერალური აუდიტორის ან საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის ან/და მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის შესახებ, აგრეთვე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლის არსებობის საკითხის შესახებ დასკვნის მისაღებად კონსტიტუციური წარდგინების ამ კანონითა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით შეტანის უფლება აქვს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი

<u>პროექტი</u>

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №8, 25.03.2004, მუხ. 38) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 244-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 244.

პარლამენტის შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს უფლება აქვს საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს მთავრობის წევრის, გენერალური აუდიტორის ან საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის შესახებ, აგრეთვე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლის არსებობის საკითხი.".

2. 251-ე მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა საქართველოს კონსტიტუციის დარღვევა ან დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა, პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს მთავრობის წევრი, გენერალური აუდიტორი, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი ან საქართველოს იუსტიციის უზენაესი საბჭოს არამოსამართლე წევრი."

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **არჩილ თალაკვაძე**

თბილისი

განმარტებითი ბარათი

საკანონმდებლო ინიციატივაზე

,,საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ცვლილების შეტანის შესახებ"

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

საქართველოს კონსტიტუციის 52.1 მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმართ შემოიფარგლება მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთი არამოსამართლე წევრის დანიშვნით (,,დ" ქვეპუნქტი). ამასთან,

კონსტიტუციის ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი პრეზიდენტის უფლებამოსილებებს შემოზღუდავს მხოლოდ კონსტიტუციით. კანონმდებლის ნების კიდევ უფრო ცხადად დასანახად გასათვალისწინებელია კონსტიტუციის ძველი რედაქცია იმ მუხლისა, რომელიც პრეზიდენტის კომპეტენციებს ჩამოთვლიდა. კერძოდ, კონსტიტუციის უკანასკნელ ცვლილებებამდე მოქმედი რედაქციით პრეზიდენტის ძირითად უფლებამოსილებებს განსაზღვრავდა კონსტიტუცია და განავრცობდა კანონი.[1] აღნიშნული ცვლილება არ არის ტექნიკური ხასიათის, ის ასახავს ქვეყნის პოლიტიკური სისტემის მნიშვნელოვან გარდატეხას. საქართველოს სახელმწიფომ დეკლარაციულად უარი თქვა საპრეზიდენტო მმართველობაზე, „ძლიერ, ერთპიროვნულ პრეზიდენტზე“ და კონსტიტუციის ამ დანაწესით გადავიდა მმართველობის საპარლამენტო მოდელზე, სადაც პრეზიდენტის უფლებამოსილება მკაცრად რეგლამენტირებული და მაქსიმალურად ლიმიტირებულია. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, მოქმედი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 48-ე მუხლი პრეზიდენტს ანიჭებს ისეთ კომპეტენციას, რომელიც მას კონსტიტუციით არ გააჩნია. იგულისხმება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა. მითითებული დანაწესი წინააღმდეგობაშია ქვეყნის უზენაეს კანონთან – კონსტიტუციასთან. ამგვარი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა ციტირებული ნორმების არა მხოლოდ გრამატიკული და სიტყვა-სიტყვითი განმარტება, არამედ და, უპირველეს ყოვლისა, ისტორიული განმარტება. სწორედ ამის გათვალისწინებით კონსტიტუციისა და ორგანული კანონის ხსენებული ნორმები უნდა განიმარტოს შემდეგნაირად: კანონმდებელმა შეგნებულად შეკვეცა პრეზიდენტის უფლებამოსილება, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის დანიშვნასთან ერთად არ მიანიჭა მას წევრისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის კომპეტენციაც და აღნიშნული სწორედ ამიტომ არ ასახა კონსტიტუციის შესაბამისი მუხლის ტექსტში.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, როგორც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ინსტიტუტის ფუნქციონირება, რათა გამჭირვალე და სამოქალაქო საზოგადოებისგან მხარდაჭერილი იყოს მოსამართლეთა შერჩევის, გამწესებისა და მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირების სხვა პროცესები. ვინაიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭო ინსტიტუციურად წარმოადგენს სხვადასხვა სახელისუფლებო შტოს კვეთაზე შექმნილ ორგანოს, იგი თავის თავში მოიცავს პოტენციურად ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებს, რაც დასტურდება კიდეც მოქმედ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაზე დაკვირვებით. საბჭოს არამოსამართლე წევრები უზრუნველყოფენ, ერთი მხრივ, მათი წარმდგენი ხელისუფლების შტოს მონაწილეობას ამ „ინტერესთა კონფლიქტში“, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოადგენენ საბჭოს მუშაობის გამჭვირვალობის, საზოგადოების ინფორმირებისა და ჩართულობის ინსტიტუციურ გარანტორებს. სწორედ აქედან გამომდინარეობს მათი როლის მნიშვნელობაც. ამიტომ, სასამართლოს რეფორმის მეოთხე ტალღის პარალელურად, აუცილებელია გამოსწორდეს საკანონმდებლო ხარვეზი და დაწესდეს საბჭოს არამოსამართლე წევრთა სამართლებრივი დაცვის მყარი გარანტიები, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ინდივიდუალური დამოუკიდებლობა. ამ კონტექსტში ცენტრალური საკითხია, როგორია მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტის პროცედურა, მით უმეტეს, იმ პირობებში, როდესაც უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები შეფასებითი ცნებებითაა ფორმულირებული (როგორიცაა, მაგ. „მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება“). არსებული რეგულაციით უფლებამოსილების შეწყვეტა მინდობილია მხოლოდ პარლამენტის წევრთა პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე. შესაბამისად, სუსტია არამოსამართლე წევრთა ინსტიტუციური დამოუკიდებლობის საკანონმდებლო გარანტი.

ამასთან, მხოლოდ „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილება არ იქნება

[1] იხ. საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-6 პუნქტი: „პრეზიდენტი ახორციელებს კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.“

საკმარისი საკითხის კონსტიტუციის შესაბამისად დასარეგულირებლად. აქედან გამომდინარე, საკანონმდებლო წინადადების ავტორი წარმოგიდგენთ ცვლილების პროექტს პარლამენტის რეგლამენტისთვისაც, რომლის მოქმედი 251-ე მუხლი მიუთითებს კონსტიტუციის წინათ მოქმედი რედაქციის შესაბამის მუხლზე (კონკრეტულად 64-ეს), რაც, ასევე, შეუსაბამოა საქართველოს კონსტიტუციასთან.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის თანახმად, საქართველოში კონსტიტუცია უზენაესი აქტია. მას უნდა შეესაბამებოდეს ქვეყანაში მოქმედი ყველა სხვა რეგულაცია. დღეს მოქმედი „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონი ვერ მოდის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში. იგი ანიჭებს პრეზიდენტს უფლებამოსილებას, რომელიც მას კონსტიტუციურად არ გააჩნია. არსებული სიტუაცია საჭიროებს აუცილებელ მოწესრიგებას, რათა არ დაირღვეს კონსტიტუციასთან ერთად საბჭოს წევრთა საჯარო თანამდებობის დაკავების კონსტიტუციური უფლება.

აგრეთვე, საკანონმდებლო წინადადების ფორმით წარმოდგენილი კანონპროექტი ხელს შეუწყობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდას, ვინაიდან დღეს მოქმედი დანაწესი არ ითვალისწინებს სასამართლო კონტროლის მექანიზმს თანამდებობიდან გათავისუფლების კანონიერების სამართლებრივი შეფასებისთვის.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები

საკანონმდებლო წინადადების მიღების შემთხვევაში „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონი მოვა შესაბამისობაში საქართველოს კონსტიტუციასთან, გაიზრდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებლობა, გაიზრდება სასამართლო ზედამხედველობა საბჭოსთან მიმართებით. აგრეთვე, პარლამენტის რეგლამენტითა და „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" კანონით განისაზღვრება საბჭოს წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების პროცედურები. აგრეთვე, გასწორდება რეგლამენტის 251-ე მუხლში დაშვებული ტექნიკური ხარვეზი.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

საკანონმდებლო წინადადებით ხდება საქართველოს პრეზიდენტისთვის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის გათავისუფლების უფლებამოსილების შეზღუდვა.

აგრეთვე, ყველა არამოსამართლე წევრის გათავისუფლების უფლებამოსილება ენიჭება პარლამენტს. საბჭოს წევრის გათავისუფლების საფუძველი კენჭისყრამდე დადასტურებული უნდა იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, რაც ამ პროცესს სამართლებრივს გახდის და იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ნაკლებად იქნება პოლიტიკური პროცესების შედეგად მიღბული ცვლილებები.

გათავისუფლების პროცედურები დარეგულირდება „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" კანონითა და პარლამენტის რეგლამენტით, როგორც ეს სხვა თანამდებობის პირებთან მიმართებით არის (გარდა პრეზიდენტისა).

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ

სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

არ არსებობს კანონპროექტის ძალაში შესვლის გადადების ან უკუძალის მინიჭების საჭიროება.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტი დაჩქარებული წესით არ განიხილება

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით

განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს ,,ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან" ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული

კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

ააიპ დემოკრატიის ინდექსი საქართველო

ვ) კანონპროექტის ინიციატორი: